ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდ-ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივ-ასოებითი — 5 კაპ., ... კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაგვიანებული სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 22 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. სტამბოლიდამ მოვიდა ამბავი, რომ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡᲐ და ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ მმართველობას შუა ამ უკანასკნელ დროს დიდი უკმაყოფილება ჩამოვარდა. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲛᲐ მოსთხოვა პორტას დაუყოვნებლივ შემოიღოს რეფორმები მცირე ᲐᲖᲘᲐᲨᲘ. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, თუ ხონთქართმა ამაზედ უარი განაცხადაო, ამ შემთხვევაში ის გადაყენებული იქნება და ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ტახტზე იმის მაგივრად იმის ძმას რაშიდ-ᲔᲤᲔᲜᲓᲘს აიყვანენ და აპეკუნათაც ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ იქნებაო.

ᲢᲣᲚᲬᲜᲘ, 19 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. რუსეთის ტახტის მემკვიდრე ᲪᲔᲡᲐᲠᲔᲕᲘᲩᲛ და იმის მეუღლემ დაათვალიერეს აქაური ნავთსადგურში რუსის კრეისერი „პეტერბურღი“ და გამოუცხადეს თავის კმაყოფილება ამ ხომალდის კამანდირსა.

ᲡᲝᲩᲘᲐ, 21 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. დღეს გაიხსნა აქ ბოლგარიის ხალხის წარმომადგენელთა პალატა და ამ დროს ბოლგარიის მთავარმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც თავის მხრითა და მთელი ხალხის მხრით დიდი მადლობა და პატივისცემა გამოუცხადა რუსეთის იმპერატორს - განმათავისუფლებელს; მთავარმა სთქვა ამასთანავე, რომ ბოლგარიას ამ ჟამად ყველა უცხო სახელმწიფოებთან კეთილი განწყობილება აქვსო.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ, 22 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ სამინისტრომ ჰკითხა ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ელჩს ლეიარდს — თუ რა განზრახვით მოვიდა ჩვენს ზღვაში ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ესკადრა (სამხედრო ხომალდები). ლეიარდმა ოფიციალურად უპასუხა ამ კითხვაზედ, რომ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ესკადრა ჯერ-ჯერობით დარჩება ᲕᲐᲠᲚᲘᲨᲘ, მაგრამ შემდეგ შეიძლება სხვა ადგილას წავიდესო, რადგან ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ვერ შეუძლიან მოითმინოს მცირე ᲐᲖᲘᲘᲡ ქრისტიანების დაჩაგვრა მაჰმადიანებისაგან და ყოველ ღონისძიებას იხმარს, რომ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ მთავრობამ რეფორმები შემოიღოს მცირე ᲐᲖᲘᲐᲨᲘ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘᲡ ᲑᲘᲠᲜᲐ, 22 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ:		მან.	კაპ.
პირველი გამოცემის	—	94	— „
მეორე —	— —	— 93	— 37
მესამესი —	—	— 93	— 50
მეოთხესი —	—	— 92	— 87
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ პირ.	—	90	— 75
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ მეორე	—	90	— 75
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ, მესამე	—	„	— „
ᲝᲥᲠᲝ, ½ იმპერიალი	—	7	— 78
ᲒᲘᲠᲐᲝᲡ ფურცელი	—	„	— „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

		მან.	კაპ.
პირველი სესხის	—	231	— „
მეორე სესხის	—	224	— 75

1 მანეთი ღირს:

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ	—	25 — 37	პენსი
ᲑᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ	—	216 — 50	ცენტი
ᲞᲐᲠᲘᲖᲘ	—	269 — „	სანტიმი
ᲕᲔᲜᲐ	—	129 — „	ᲞᲤᲔᲜᲘᲒᲘ
ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲙᲔᲠᲐᲡᲘᲜᲘ	—	—	—

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲘᲫᲕᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲐᲛ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ სიძვირესა და შიმშილს მოველით. ᲯᲔᲠ ახლა, ახალი მოსავლის შემდეგაც, ფუთი ფქვილი ქალაქში ორ მანეთ ნახევრად და მეტათაც ისყიდება; რაღას უნდა მოველოდეთ ზამთარში და გაზაფხულზე! ᲯᲔᲠ ახლა ქვეყანა სჩივის, რომ ყოველ გვარი ხორაგი, საჭმელ-სასმელი, სადგომი, საცმელი და სხვა ყველაფერი მამასისხლად შეიქნაო და შემდეგში რაღა მოგველის!

როგორც ყოველთვის ამ გვარ შემთხვევაში, ამ სიძვირესა, შიმშილსა და სიცივეს ყველაზე უფრო ღარიბი ხალხი იგრძნობს. მდიდარს რა უშავს? ის ერთი-ორათაც, ერთი-სამათაც შეიძლებს ყველაფრის ყიდვას და შეძენას, და თუ გაუჭირდა, ისევ იმავ ღარიბის კისრიდამ ამოიღებს... ᲘᲙᲘᲗᲮᲝᲡ ღარიბმა, შეუძლომ, დღე-დღეზე მუშაობით მცხოვრებმა ხალხმა..

ქალაქის თვით-მმართველობის ვალია, რომ ამ გაჭირებაში იფიქროს რამე, მონახოს ღონის-ძიება და დაეხმაროს ხალხს. მართალია, ჩვენი ქალაქის ხაზინა, საუბედუროთ, იმდენად მდიდარი არ არის, რომ იმას შეეძლოს, ვსთქვათ, დიდძალი პურის ყიდვა და მუქთად დარიგება ღარიბ ხალხისათვის. მაგრამ ეს საჭიროც არ არის. ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲗ ᲘᲡᲔ ᲛᲝᲘᲥᲪᲔᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲘᲥᲪᲐ ᲡᲝᲤ. ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲙᲐᲪᲔᲑᲘ: ᲐᲛᲐᲗ ᲗᲮᲝᲕᲔᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲤᲣᲗᲘᲗ ᲞᲣᲠᲘ ᲛᲘᲪᲔᲗ ᲘᲛ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲤᲣᲗᲘᲡ ᲨᲔᲘᲓ ᲐᲑᲐᲖᲔ ᲖᲔᲕᲘᲗ ᲐᲠ ᲒᲐᲭᲘᲧᲘᲓᲓᲜᲔᲜ სოფლის ხალხზე და შემოსულ ფულს მისცემდნენ მთავრობას. მთავრობამ მიიღო მხედველობაში გაჭირებული მდგომარეობა ხსენებული სოფლის ხალხისა, შეიტყო იმათი დანდობილი კაცების თხოვნა და მართლაც ასეხა პური ზემომოყვანილის პირობით, და როგორც ჩვენ შევიტყეთ, ეს პური უკვე წაუღია სოფელს და ისყიდება ხალხზედაო. ᲐᲛ ᲜᲐᲘᲠᲐᲓ, სოფელს ამ ზამთარში შიმშილის შიში აღარა აქვს და ეს დროებით ხელის-მომართვა მმართველობისაგან, უეჭველია, ბევრი უბედურებისაგან და ვაჭრების ურიულ ვალებისაგან გადაარჩენს იქაურ ხალხს.

ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠᲐ ᲒᲕᲒᲝᲜᲘᲐ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲑᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲛ ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲗᲐᲕᲝᲡ და სთხოვოს მთავრობას ამგვარი შემწეობა, უარი მიიღოს; ხაზინა ყოველთვის დაეხმარება ხალხს, თუ კი ნახავს, რომ ის დახმარებით თვითონ არაფერს არ წააგებს.

ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲛᲪᲝᲓᲜᲔ ᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲕᲘᲪᲘᲗ ᲩᲕᲔᲜ, რომ ქალაქში ამ ჟამად პური ბლომათ არის, და მართლა ყველგან ხომ არ გაუფუჭებია კალიას ყანები, რომ ამისთანა სიძვირე და შიმშილი ჩამოვარდეს ჩვენში. მაგრამ ჩვენებური ვაჭრებისათვის ერთი რამ უბრალო მიზეზი არის საკმაო, რომ ერთი-ორად გაძვირონ თავიანთი საქონელი. ᲐᲛᲐᲗ ᲓᲐᲣᲮᲕᲔᲕᲘᲐᲗ ᲐᲮᲚᲐ ᲮᲔᲚᲖᲔ, ᲐᲥᲐᲝ ᲙᲐᲚᲘᲐᲛ ᲞᲣᲠᲘ ᲒᲐᲐᲤᲣᲭᲐᲝ, ᲐᲠᲡᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲝᲡᲣᲚᲐᲝ, და ᲫᲕᲘᲠᲘᲒᲔᲑᲔᲜ, ᲫᲕᲘᲠᲘᲒᲔᲑᲔᲜ, თუმცა მაედანზე პური ბლომათ არის და ბლომათაც შემოდის.

ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲑᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲐ, რომ ამგვარ ვაჭრების, ამ ჩარჩების ოინებს მიაქციოს ყურადღება; მოვალეა, იზრუნოს, რამდენიმე კაცს არ ჩაუგდონ ხელში მთელი ქალაქის ხალხის ბედი.

ᲗᲣ ᲐᲛ ᲝᲠ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ: ᲮᲐᲖᲘᲜᲘᲓᲐᲛ პურის გამოტანას და იაფ ფასად ღარიბებზე გაყიდვას და ჩარჩების ალაგმვას — მოახერხებს ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲑᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲩᲕᲔᲜ დარწმუნებული ვართ, ამ ზამთარში შიმშილისა და სიძვირის აღარ უნდა ეშინოდეს ჩვენი ქალაქის ღარიბ-მუშა ხალხს..

Ს. Შ.

ДЛИУРИ

*** Шаршан ზამთარში, როდესაც ომიანობის შემდეგ ამდენი ქვრივ-ობერი და გაჭირებული დარჩა, სხვათა შორის Тфилисшიაც შესდგა კერძო საზოგადოება ამ „მეომართ გაჭირებულ ცოლ-შვილთა შესაწევნელად“. Тუ არ ვცდებით, ამ საზოგადოების თავ-მჯდომარედ ამორჩეული იყო მაშინდელი ქალაქის Тავი პატივცემული Д. И, Уიფიანი, იმის ამხანაგად უფ. მოდზალევსკი და საზოგადოების სეკრეტრად უფ. Иზმაილოვი. საზოგადოება აგროვებდა ფულს თავის მიზნისათვის, წერებს დაურიგეს დაბეჭდილი კრუქკები და დავთრები და სხვა.

Мას აქვთ ამ საზოგადოებისა სრულიად არა ისმის-რა. Аრსად არ შეეხვედოიკარა ამ საზოგადოებისაგან გამოცემულ თავის მოქმედების ანგარიშსა—თუ რამდენი მოაგროვა იმან ფული და რამდენი დაურიგა მეომართა გაჭირებულ ოჯახებს თავის მიზნის აღსასრულებლად.

Ჩვენის აზრით, რიგი და წესი იყო, რომ საზოგადოების გამგეობას ანგარიში გამოეცხადებინა და შეეტყობინებია თავის მოქმედება იმ პირთათვის, რომელთაც იმას ამ ქველ საქმეში ხელი მოუმართეს...

*** Зაზეთს „Кავკაზში“ იწერებიან, რომ ამ ქამად ბათუმში შეკრებილან Оსმალოს და Рუსის დანდობილი პირები (დელეგატები) ამ ორ სახელმწიფოს შუა ახალი სამზღვრების გასაყვანად; საქმის დასაწყებად Тრაპიზონის ვალის (გუბერნატორს) მოელანო.

Аმავე გაზეთის კორრესპონდენტის სიტყვით, გურული მილიციონერების წყალობით Аჭარისაკენ ქურდობა და ავაზაკობა მოისპოვო.

*** Ჩვენ შევიტყეთ, რომ იმ ქუთაისელ კორრესპონდენციის დაწერას, რომელშიაც იქაურ „ურთიერთ კრედიტის ბანკის“ თაობაზედ სხდომა არის აღწერილი და რომელიც ხელ-მოწერილია „Ქუთაისელი“, ისეთს პირებს აბრალებენ, რომელთაც ის არ დაუწერიათ. Аმის გამო საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ ავტორი ამ კორრესპონდენციისა არის უფ. Аლესანდრე И. Бამრეკელოვი.

„ДРОЕБის“ КОРРЕСПОНДЕНЦИА

ქუთაისი, 20 Оქტომბერს. 13 ამ თვეს ქუთაისის მაზრაში, სოფელს Оჯოლას, მოხდა ერთი ყურადღების ღირსი საქმე:

Аზნაურს Тადეოზ Мაქსიმეს ძეს Иაშვილს, როდესაც ის ყოფილა აზნაურის Аნტონ ქელბაქიანის ობლების ეზოში, თავს დასხმია ამავე სოფლის მღვდელი Д. Вასილ Нიკოლოზის ძე ქელბაქიანი თავის სამი ვაჟითურთ და ერთი აზნაურის Нემსაძის შემწეობით (ეს Нემსაძე დისწული ყოფილა მღვდლისა); ქელბაქიანები და Нემსაძე დაიარაღებულნი ყოფილან ხმლებით, რევოლვერებით, ხანჯლებით და კეტებით. მღვდელს ხმალი ანაფორას ქვეშ ჰქონდა ამომალული.

Пირველათ მღვდელს დაუკრავს Иაშვილისთვის თავზე ხმალი და მძიმეთ დაუჭრია; შემდეგ მამის მაგალითის მიხედვით შვილებსაც მიუყვიათ ხელი: რევოლვერი უსვრიათ, ხანჯლები დაუკრავთ და კეტებით უცემიათ.

Ერთს მკლავზე აქვს Иაშვილს ჭრილობა (ამბობენ, რევოლვერის ტყვიისაგან არისო), მეორე მკლავი გაჩეხილი აქვს ცერიც გაჩეხილი, თავზე, წინ შუბლს ზევით, ორს ალაგსა აქვს დაკრული კეტი, რისაგანაც თავი მეტათ ნაზიანები არის. სხვა ალაგას, სადაც კი დაუკრავთ კეტები, მძიმე გალახულობა ატყვია. Пირველათ, როდესაც მღვდელს დაუკრავს ხმალი, Иაშვილი კიდევ არ დაცემულა, დაუპირებია გაქცევა და გაქცეულა კიდეც; ამ დროს დაუძახნია მღვდელს შვილებისათვის: „Аრ გაუშვათ ცოცხალი მაგ ეშმაკი! Мოჰკალით, მოჰკალითო!“ Вაჰკიდებიან მას ყველანი და, სანამ ღობეზე გადახტებოდა, დასწევიან და ხანჯლის და კეტების ცემით დაუციათ...

Иაშვილი, მეტათ დასუსტებული ბევრი სისხლის დაღვრით და ცემით, უსულგულო გაგდებულა. Бოლოს, როგორც ყოფილა, ამოუღია ხმა და კნავილით უთქვამს მღვდლისათვის: „Хომ მომკალი შენის ხელით ეს არის და უზიარებელს მაინც ნუ დამაგდებო!“ Аმის გამგონეს მღვდელს უთქვამს. „Კიდევ ცოცხალია ეს ეშმაკი! Дაჰკარით მაგრათ, დაჰკარითო!“ Კიდევ მოჰყოლიან ცემას და შემდეგ წასულან, დაუტოვებიათ Иაშვილი დაღვრილს სისხლში მცურავი. Ერთს ობოლს მოუნდომებია იმას დახმარებოდ და რაღაც ერთი გლახა ხანჯალი ჰკიდებია, ის, თუ არ ვიცი წალდი დაუკრავს მღვდლისათვის ხელებზე და ორს ალაგს ცოტათი დაუჭრია. Ეს ყმაწვილიც გალახულაო.

Аმბობენ, Иაშვილს ჰქონია ამ დროს სანადირო თოფი, საფანტით გატენილი და მისთვის-რომ დაეფარა თავი ქელბაქიანებისაგან, უსერია მათთვის და ერთი მათგანი გაკაწრულიაო.

Ეს ამბავი დაუყოვნებლივ შეუტყობინებიათ პრისტავისათვის. Пრისტავი წასულა მეორეს დღეს და შეუდგენია პროტოკოლი. Бამომძიებელი და დოქტორი 18-ს წასულან სოფელს Оჯოლას, რომელიც მდებარეობს ქუთაისიდან თერამეტ-ცხრამეტი ვერსის სიშორეზე. Аმ დროის განმავალობაში, სანამ გამომძიებელი და დოქტორი წავიდოდნენ, მღვდელი და მისი შვილები ქუთაისში გამოქცეულან და უჩივლიათ, რომ Иაშვილი თავზედ დაგვესხა, გვცემა და სიკვდილი დაგვიპირაო.

Иაშვილი მძიმე დაჭრილია და მისი მორჩენა მეტათ საეჭვოა.

Аმ საქმის თაობაზე გამოძიება დაწყებულია და იმედი ვიქონიოთ, რომ სინდისიანი გამოკვლევა აღმოაჩენს სიმართლეს. Мხოლოთ ერთი უნდა ვსთქვათ: ამისთანა შემთხვევებში საჭიროა, რომ მსწრაფლად და სასტიკად მოჰკიდონ ხელი გამოძიებას, თორემ მტყუან მხარეს შეუძლია ისე მოაწყოს საქმე, რომ თავის თავი უმანკო მტრედათ გამოიყვანოს. Мომხდარა, რომ ამგვარ შემთხვევაში მხოლოთ რამდენიმე დღის შემდეგ მოუკიდნიათ ხელი გამოძიებისთვის.

Вინაა მტყუანი და ვინ მართალი ზემოხსენებული საქმეში,—ამის გარჩევა და გადაწყვეტა სასამართლოს წესია. Мე კი ის მინდა მოგახსენოთ ამ წერილში, თუ იმ ხაზოგადოებას, საცა ეს საქმე მოხდა, და მახლობელ სხვა საზოგადოებაში როგორი შეხედულობა აქვსთ Иაშვილის და ქელბაქიანების ურთიერთ შორის უკმაყოფილებაზე და რა მიზეზებს უჩივნებენ უმთავრესათ, რომლებზედაც ვითომ დამოკიდებულია ეს სისხლის ღვრა.

Тადეოზ Иაშვილი არის მკვიდრი დისწული მღვდლის ქელბაქიანისა. Оბლები, რომლების მზრუნველიც Иაშვილია, არიან ძმისწულები მღვდლისა. Мღვდლის ვაჟები, რომელთაც მონაწილეობა ჰქონდათ ზემო ხსენებულ საქმეში, არიან აღზრდილნი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. Ერთი იმათგანი მსახურობს Иმერეთის საეპარხიო კანცელიარიაში, მეორე გუბერნიის სამმართველოში და მესამე აზნაურობის ბანკში.

Წელს ზაფხულში „Дროებაში“ იყო დაბეჭდილი კორრესპონდენცია ვილაც „Вერმიცანიძის,“ რომელშიაც ავტორი უჩივნებდა ბევრ ბოროტ-მოქმედებას მღვდლის Вასილ ქელბაქიანისას ის კორრესპონდენცია ყოველს სიტყვაში თანახმა არის საზოგადო აზრისა თითქის მოელს Оკრიბაში. Вისაც უნდა ჰკითხო, თითქმის ყველანი, ვისაც ნათესაობა ან მოყვრობა არ უშლის, ყველანი გეტყვიან, იმას რასაც „Вერმიცანიძე“ ამბობდა. Аმის დაწერა მღვდელს ქელბაქიანს დაუბრალებია Иაშვილისათვის.

Мღვდლის Вასილ ქელბაქიანის მამა ყოფილა მღვდელი Нიკოლოზ ქელბაქიანი, რომელსაც ჰყოლია ორი ვაჟი—Вასილი და Аნტონი იმ დროსვე ყოფილა სოფელს Зოგნარს მცხოვრები გლეხი ძიკოლა Бელბაქიძე, რომელიც მოჯამაგირეთ ჰყოლია ერთს ამ მაზრის აზნაურს. Аმ აზნაურის მოსამხურე ქალთან ძიკოლას დაუჭერია საიდუმლო კავშირი და ამ კავშირის ნაყოფათ შეძენია ვაჟი ხოსიკა. Мღვდელს Нიკოლოზ ქელბაქიანს ძიკოლა Бელბაქიძის ვაჟი უჩივნებია თავის შვილათ („ძიკოლას“ უძახიან „Нიკოლოზს“) და რადგან თვითონ აზნაური იყო, ჩაუწერინებია აზნაურების რიცხვში. Аმ სახით ძიკოლიჩი Нიკოლოზიჩათ გადაცვლილა. Дარწმუნებით ამბობენ, რომ ეს კაცი სრულებითაც Нიკოლოზ მღვდლის შვილი არ არის; მის დედათ და მამათ უჩივნებენ სხვებს, და მღვდელს Нიკოლოზს თავის დღეში არ ჰყოლია შვილი ხოსიაო.

Мღვდლის Нიკოლოზ ქელბაქიანის

ვაჟი ᲐᲜᲢᲝᲜ გარდაცვალებულია, და მისი ობლების მზრუნველია ახლა ზემორე ხსენებული ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ. მეორე ვაჟი ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲐ არის მღვდელი ᲕᲐᲡᲘᲚᲘ ᲫᲔᲚᲑᲐᲥᲘᲐᲜᲘ, ესეც ზემორე ხსენებული. ᲕᲐᲡᲘᲚᲘ და ᲐᲜᲢᲝᲜ გაყოფილი ყოფილან, მაგრამ როდესაც ᲐᲜᲢᲝᲜᲘ გარდაცვალებულა, მის ძმას ᲕᲐᲡᲘᲚᲘს (თავის სურვილით და განკარგულებით) მოუხვევია ხელი ობლებისთვის და მათი ქონებისთვის და შეუერთებია თავის ოჯახთან. შემდეგ ობლები წამოზრდილან და მოუთხოვიათ ბიძისაგან თავისი საკუთრება, ნახევარი მამა-პაპის სოფლებისა, მაგრამ ბიძას ᲕᲐᲡᲘᲚᲘს არ მიუცია.

ᲗᲐᲓᲔᲝᲖ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘს, როგორც მზრუნველს, მხურვალე მონაწილეობა მიუღია ობლების საქმეში და მისი მეცადინეობით ობლები გადასულან ცალკე ეზოში. მღვდელს ვასილს ჯერ კიდევ გათავებული არ ჰქონია ობლებთან ანგარიში ამ უკანასკნელებს ეუბნება თურმე, რომ ნახევარი კი არა, მესამედი გერგებათო; მე მესამე ძმა მყავსო (უჩვენებს ᲑᲔᲚᲑᲐᲥᲘᲫᲔᲖᲔ) და იმისაგან ნაყიდი მაქვს მისი ნაწილიო, აი ნასყიდობაცაო.

ᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ მზრუნველი ჰცდილობდა თურმე გამოეაშკარავებია საიდუმლობა, რომლითაც ᲑᲔᲚᲑᲐᲥᲘᲫᲔ ᲫᲔᲚᲑᲐᲥᲘᲐᲜᲗᲐ გადაქცეულა, რომ ამ სახით დაემტკიცებია ᲑᲔᲚᲑᲐᲥᲘᲫᲘᲡ უ-ᲫᲔᲚᲑᲐᲥᲘᲐᲜᲝᲑᲐ და ობლების სიმართლე. ᲐᲛ მიზეზის გამო მღვდელი ᲕᲐᲡᲘᲚ ᲫᲔᲚᲑᲐᲥᲘᲐᲜᲘ მეტათ გადამტერებია ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘს და ბევრი ამბობს ამ ბოლოს დროს სიკვდილს ექადდაო.

ᲗᲐᲓᲔᲝᲖ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘს თვე-ნახევარია, რაც ცოლი შეურთავს. ᲐᲛ ქალის შერთვა ჰსურვებია ᲕᲐᲡᲘᲚ მღვდლის ვაჟს (უნდა იქონიოთ სახეში, ქალი მზითვიანი იყო). ᲫᲐᲚᲘ წაჰყოლია ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘს და ᲫᲔᲚᲑᲐᲥᲘᲐᲜᲘ მიუტოვებია რიყეზე. ᲘᲡ გარემოება დაჰმატებია სხვებს და კიდევ უფრო გაუბრაზებია, როგორც თვითონ გარიყული სასიძო, აგრეთვე მამა მისი. მდებარე რიყესა ზედა სასიძო, შეპყრობილი სიყვარულისაგან, ამბობს თურმე ჩუმ-ჩუმათ (სულელი კი არაა გამომეძიებელთანა ჰსთქვას): „ᲮᲝᲛ ᲐᲛᲝᲕᲘᲧᲐᲠᲔ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲖᲔ ᲯᲐᲕᲘᲠᲝᲛ! ᲘᲛᲐᲡ ეგონა, რომ ჩემს ლუკმას უჩხუბრათ დავანებებდიო!“

აი რას ჰფიქრობენ და რას ამბობენ. მე არაფერი შემითხზავს, ნურას უკაცრავად!

ᲗᲘᲜᲛᲔ ᲝᲙᲠᲘᲑᲔᲚᲘ.

ᲡᲐᲒᲐᲐᲡᲝ

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲣᲤ. ᲘᲝᲡᲔᲑ ᲮᲔᲚᲐᲫᲔᲡ

ᲗᲥᲕᲔᲜᲡ პატივცემულ გაზეთში, უფ. რედაქტორო, № მე-138-ში დაბეჭდილი იყო შესახებ ჩემდამო სტატია; ავტორი, როგორც თვით წერილის ქვეშ აწერია, არის ჩემი ნაშეგირდალი (იგივე სტამბის მმართველი) ᲘᲝᲡᲔᲑ ᲮᲔᲚᲐᲫᲔ. ᲘᲡ წერილი არის აღსილი ისეთის უსაფუძვლო და უსირცხვილო ტყუილებით, რომ არ შეიძლებოდა მე, როგორც სიმართლის მქონე, არ აველელვები. ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲗ კაცის გულის თვისება ისეთია, რომ იგი ყოველთვის მაშინ უფრო ღელავს და ჯავრდება, როცა ცილს სდებენ მას; დამნაშავე კაცი არას დროს ისე არ შეწუხდება, როდესაც იმის უკანონობას გამოაშკარავებენ, როგორც სიმართლის მქონე. მეც ასე მომივიდა: ნათქვამმა უსაფუძვლო და სიცრუით აღსილმა წერილმა საშინლად ამაღელვა.

ᲐᲛისთვის წაკითხვისათანავე გარდავსწყვიტე მართლ-მსაჯულებისათვის მიმეცა ხელში ჩემი ნაშაგირდები და ჩემი გალანძღვისათვის და ცილის-წამებისთვის განესაჯა მას და მართლაც განვაცხადე სასამართლოში ყოველივე. ᲐᲥ საქმე მიდიოდა თავის რიგზედ, მაგრამ ამ უკანასკნელს დროს რამოდენიმე პატივსაცემმა პირმა მთხოვეს არ მიმეხედა ჩემი ნაშეგირდალის სიყრმაწვილის წინდაუხედველის მოქმედებისთვის და მომესპო საჩივარი. მეც უსმინე ამათ თხოვნას და მოვსპევი საჩივარი. მაგრამ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲮᲔᲚᲐᲫᲔ ისე ახლოს მეხება მე თავის წერილში, რომ არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა ჭეშმარიტების აღსადგენად.

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲮᲔᲚᲐᲫᲔ ამბობს: უფ. ᲔᲥᲕᲗᲘᲛᲔ ᲮᲔᲚᲐᲫᲔ დღე-დღეზედ ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲐᲡ ემზგავსება, საანგარიშო ჩოთქი სულ გაცვეთილი აქვს; მაგრამ მუშა კაცის მინუტების ანგარიშობა და ლუკმა-პურის აწონა არა მგონია კაცური ანგარიში იყოს... ᲙᲘᲓᲔᲕ ᲪᲝᲢᲐ ქვევით: „მაგრამ ის დალოცვილი თუ თავისას ნაღდათ წამ-წამზედ და მინუტს-მინუტზედ ანგარიშობს, რა უშავს საათობით მუშა ხალხის მაინც იანგარიშოს..“

პირველად უნდა ვკითხო ᲘᲝᲡᲔᲑ ᲮᲔᲚᲐᲫᲔს, რითი ეემზგავსები მე ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲐᲡ და რისთვის მაქვს გაცვეთილი საანგარიშო ჩოთქი! ᲘᲥᲜᲔᲑᲐ იმისთვის მადარებს ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲐᲡ და მწამებს ჩოთქის გაცვეთას, რომ სტამბის შემოსავლის და გასავლის ანგარიშს ჩამოვართმევდი იმას, ჩემს გარეთ მყოფობის დროს? მაინცადა-მაინც ანგარიშის ჩამორთმევა პრიკაშჩიკისა არა მგონია დასაზრახისი იყოს.

მეორე, ჩემო გაზდილო, მაგრამ გამოუდეგარო ᲘᲝᲡᲔᲑ, თუ რომ მე მისხლობით პურს გიწონიდი, დათხოვნის შემდეგ, რომ ᲑᲣᲠᲘᲘᲓᲒᲐᲜ ჩამოხვედი, რისთვის-ღა მთხოვდი მიღებას უფ. ᲐᲜᲗᲘᲛᲝᲖ და ᲓᲐᲕᲘᲗ ᲯᲣᲦᲔᲚᲔᲑᲘᲡ პირით? ᲒᲐᲜᲐ მაგისთანა კაცს აღარ ერიდებიან? მაშინ ხომ ყველა სტამბებში ადგილის შოვნა შეგეძლო. ᲒᲔᲢᲧᲝᲑᲐ შენი კარგი კაცობისათვის აღარ მიგიღე.

მესამე, როდის ვიანგარიშე მე მინუტები შენზე ანუ სხვაზე? რატომ არა გრცხვენოდა მაგ სტრიქონის წერის დროს, დღეები მაინცა გეთქო. ᲐᲛის პასუხს ვსთხოვ იმათ, ვინც ჩემთან იყვნენ ᲑᲣᲠᲘᲘᲓᲒᲐᲜ ჩამოყვანილები, რომელნიც სხვაგან მუშაობენ ეხლა, (მე არ ვასახელებ იმათ, ვინც დღეს ჩემს სტამბაში მუშაობს, მით უმეტეს, რომ იქნება თქვას მკითხველმა, რომ „თავის მუშახალხს, როგორც უნდა ეგრე ეთქვენებს ხაზიანინო): ᲞᲚᲐᲢᲝᲜ ᲛᲝᲡᲘᲫᲔ, ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲙᲘᲚᲐᲫᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ და ᲛᲐᲠᲙᲝᲖ ᲮᲔᲚᲐᲫᲔ. ᲙᲕᲚᲐᲓᲕᲔ ᲔᲡᲗᲮᲝᲕ ამათ დამავალონ და დაურიდებლად მომცენ პასუხი, ვინ იყო ესე იძულებული ჩემგან.

ᲐᲛᲐᲡ გარდა ამბობს, რომ ვითომ მუშები სულ ᲑᲣᲠᲘᲘᲓᲒᲐᲜ მყავდეს ჩამოყვანილი და ისე ვატრიალებდე ყველას როგორც მე მსურდეს. ᲕᲘᲗᲝᲛ თუ ვინმემ ან ჯამაგირის, ან პურის მომატებაზედ რამე გამიბედა, ან ვითომ გავლანძღავ და ან ცემით მოვკლავ. ᲐᲛᲐᲕᲔᲑᲖᲔ ვკითხავ შემდეგს ᲘᲝᲡᲔᲑ ᲮᲔᲚᲐᲫᲔს: ᲜᲘᲙᲝ ᲖᲐᲠᲘᲫᲔ, ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲝᲥᲠᲝᲪᲕᲐᲠᲘᲫᲔ, ᲘᲕᲐᲜᲔ ᲙᲐᲚᲐᲢᲝᲖᲝᲕᲘ, ᲙᲝᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲝᲕᲘ, ᲜᲘᲙᲝ ᲝᲥᲠᲝᲪᲕᲐᲠᲘᲫᲔ და სხვები გურულები იყვნენ თუ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ? ვინ მთხოვა ჯამაგირის მომატება, ნაცვლად ჯამაგირის მომატებისა ვისა ესცემე და ან გავლანძღე?

მესამე, ვითომც მე, როცა მუშა ხალხი მოვინდება სტამბაში, მაშინვე ᲑᲣᲠᲘᲘᲡᲐᲙᲔᲜ გავექანები ხოლმე და ვითომც იქიდგან მოტყუილებით მომყავს ბიჭები.—ᲘᲡ თვითონ თქვენვე წარმოიდგინეთ, უ. რედაქტორო, როცა სტამბმბეჭდავს და ამოძწყობლებს საჭიროებს. მაშინ რათ უნდა უსწავლელი ხამი ხალხი? ᲮᲣᲗ-ᲔᲥᲕᲡ თვეს ზარალის მეტს სარგებლობას ხომ ვერას მოუტანს სტამბას. შემ ხომ აღსილხარ სიცრუით, ჩემო ᲘᲝᲡᲔᲑ და აღარა დაგეჯერება-რა, და წრეზედ გადასულხარ; მხოლოდ მე თანახმა ვარ იმ პირებისა, რომელნიც ჩემი ნაშაგირდალი არიან და სხვა სტამბებში მუშაობენ, ანუ ჩემს სტამბაში გამოაცხადონ დაურიდებლად ვინ მოვატყუილე მე და ან ვის დაუჭირე ჯამაგირი, ამისი პასუხი ყველას შეუძლიან. ᲐᲜᲐ და ჩემო ერთგულო ᲘᲝᲡᲔᲑ! შენ ვინ მოგატყუილა და ვინ ჩამოგიყვანა ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ? შენ არ იყავი, რომ 1877 წელს მაისში მომადექი ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ გაჭირებული და მთხოვე შემწეობა სტამბაში მიმიღეო, მე რა ბანკირი ვიყავი, შემწეობა მომეცა, მაგრამ შეძლების-დაგვარად არ დავიშურე მე მაშინვე ვარი გითხარი, რადგანაც შეგირდებიდგან შეიწროებული ვიყავი და ადგილიც არა მქონდა; რა გითხარი მე მაშინ, გირჩიე თუ არა, სამასწავლებლო სემინარიაში შესულიყავი და მე რაც შემეძლო შემწეობა აღგითქვი? ᲒᲘᲗᲮᲐᲠᲘ თუ არა, სხვა საქმეზედ თვალ-ყური გეჭიროს, მანამ ჩემთან სჭამე პური-მეთქი? შენ რა მითხარი ამ სიტყვებზედ, მოიგონე ისიც; —შენ რას ლაპარაკობ სხვაზედ, მაგალითებრ: თუ შენთან ვატყუვი მე, სხვასთანაც ვიმტყუნებ. და მემრე რომ აღარ მომშორდი, ექვსი თუმანი პირველ წელიწადში მოგეცი, სრული ჩემი სასმელ-საჭმელი და ჩაცმა-დახურვით, სამი თუმანიც კიდევ გაჩუქე; მეორე წელიწადს თორმეტი თუმანი მოგეცი ჩემი სასმელ-საჭმელით და ოთხი თუმანიც გაჩუქე და ამ ორი წლის განმავლობაში ხელო-

ბაც ისწავლე; ეს იქნება აღარ გახსოვდეს როგორც ხვა კეთილი მიქნია შენთვის, მაგრამ ამისი მოწამე არის უ.უ. ანთიმოზ, დავით ჯულელები, ქაშვეთის ეკკლესიის პრიჩეტნიკი ბიორგი ზალიკანოვი და ჩემი სტამბის ხალხმა ყველამ იციან, როცა დაგითხოვე და ამ ხალხთან გაგისწორდი, ხომ სცანი მაშინ ყველა მიღებული.

ექვიმე ხელაძე.

(დასასრული შემდეგში)

განცხადებანი

ყმაწვილი კაცი ამზადებს ბავშვებს პირველ და მეორე კლასისთვის. მსურველს შეუძლია თვისი ადრესი დასტოვოს „დროების“ რედაქციაში.

(5—3)

ამ დღეებში გამოვა ეოდეევილი
„მოდი და ენდეთ ქალსა!“
თხზულება მ. ზ. ჯორჯაძისა.

(5—1)

ამ შაბათს, 27 ოქტომბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში იქნება **ხილის გამოფენა** უფ. ბუშეკის ქამბილეის (ვლადიკავკასის მახლობლად) ფერმისა. უფ. ბუშეკმა რამდენჯერმე გამოფინა ქ. ვლადიკავკაზში თავის ბაღის ხილი და ამ ხილის გემოს, სიდიდეს და სილამაზეს ხსენებულმა ქალაქმა მიაქცია ჯეროვანი ყურადღება.

სასურველია, რომ თფილისის ახლომახლო ბაღების მეპატრონეებმაც ისარგებლონ ამ შემთხვევით და გამოაფინონ აგრეთვე სამეურნაო საზოგად. სადგომში თავიანთი ბაღის ხილიც. სამეურნეო საზოგადოება თავის მხრით რაც შეიძლება შემწეობას მისცემს აქაურ მებაღეებს, რომელნიც ისურვებენ ხილის გამოფენას.

ვისაც ჰსურს გამოფენაში მონაწილეობის მიღება, ესთხოვთ მიმართონ საზოგადოებაში და თვით გამოსაფენი ხილი 26 ოკტომბრამდინ უნდა წარმოადგინონ. გამოგზანილს ხილზე უნდა იყოს მიკრული ქალალდი (ეტიკეტი) და ზედ ეწეროს თუ რა გვარი ხილია ეს ხილი და რა ჰქვია იმას სახელად.

(3—1)

გ. ჩარკვიანის
ქართული წიგნის მაღაზიაში,
ქაშვეთის ეკლესიის შენობაში, № 1 და 2
იყიდება შემდეგი ახალი **ქართული წიგნები:**

თ ვ ა ლ - ს ა ჩ ი ნ ო სწავლა ახლად შეარულის ყმაწვილებისათვის სახალხო შკოლებში. შედგენილი მიხ. ჯიჭინაძისაგან—ფასი 40 კაპ.

ბ ა ნ ჯ გ ვ ლ ი ა ნ ი ფ უ ტ კ ა რ ი—თხ. ავენარიუსისა ნათარ. ალ. აბაზაძესაგან—ფასი 15 კაპ.

ბ ლ ა ხ ი ს ნ ა მ ბ ო ბ ი მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა. ბამ. არ. საფაროვისაგან ფასი 25 კ.

რ ა მ დ ე ნ ი მ ე ს უ რ ა თ ი ყ ა ჩ ა ღ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა მ პოემა ილია ჭავჭავაძისა გადმობეჭ. ჟურნ. „ივერიდგან“ ფასი 10 კაპ.

ბ ო ლ ი თ უ გ ი ნ დ ა ე ს ა რ ი ს, ეოდეევილი ვასილ აბაშიძისა ფასი 10 კ. და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

Въ Тифлисъ. Книжный магазинъ Григорія Чарквіани въ зданіи Кашветской церкви, № 1 и 2.

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან
ქალაქის გამგეობა უცხადებს ტრაქტირებისა, ხარშოვნიკებისა და პასტაიალი დეორების პატრონებს, ეფუძნებიანახმად ტრაქტირების წესდებისა § 17 მუხლისა, ისინი ვალდებულნი არიან ამ ოქტომბრის (ლეინობისთვის) განმავალობაში შემოიტანონ ქალაქის ბამგეობაში ხეედრი ფული და მიიღონ ვაჭრობის უფლებისათვის ჯეროვანი მოწმობა 1880 წლისათვის. ვინც ამ მოთხოვნილებას არ აასრულებს, იმათ ტრაქტირებსა, ხარშოვნიკებსა და პასტაიალი დეორებს უპრავა უეჭველად მომავალი 1880 წლის 1 იანვარს დაკეტავს.

დედანი

(პროპისი) სურათებით

შედ. ან. ჯუღელისაგან

გამოვიდა და ისყიდება შემდეგ ადგილებში:

თ ბ ი ლ ი ს ს: ჩარკვიანის, ვარ თანოვის და ბრიქეროვის წიგნის მაღაზიებში,

ქ უ თ ა ი ს ს: სასულიერო სასწავლებელში და ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში,

ს ა მ ე გ რ ე ლ ო ში: სასულიერო სასწავლებელში დ. სუჯუნას თოფურიძის ლუქანში და აბაშაში უფ. ანტ. ქეკელიასთან შკოლაში,

ო ზ ურ გ ე თ ს: სასულიერო სასწავლებელში,

ხ ო ნ ში: უფ. ჭალაგანიძესთან,

ბ ო რ ს: სასულიერო სასწავლებელში,

თ ე ლ ა ვ ს: სასულიერო სასწავლებელში და ხირსელოვის წიგნის მაღაზიაში,

ს ი ღ ნ ა ღ ს: უფ. კ. ბალაშვილთან.

ფასი ერთის ეგზემპლიარისა აბაზი.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ბორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
უვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი. . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი. . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი.	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
უვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
ბორი	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი. .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი

ო ცი სიტყვა თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ.

	მან	კაპ.
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს,	2	—
პეტერბურღს, ვარშავს	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში.	3	75

ფ ო ს ტ ა

ა) **თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:** სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქუთეთს—სამშ. და შაბ. ბ) **ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:** თ ფ ი ლ ი ს ი ს და ფ ო თ ი ს ა კ ე ნ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ლია წიგნის	3
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	7

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი 9 ოქტომბ.	—	—
ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2	55
ფქვ. წითელი . .	2	20
ქერი ფუთი . . .	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი.	8	65
—ამერიკისა, ფუთი .	9	30
ბაკენტილი ბამბა ფუთი.	11	70
მატყლი თუშური ფუთი.	8	20
—მ.ირაქმისა ფუთი .	3	70
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	10
ქონი ფუთი . . .	5	80
ქონის სანთელი ფუთი.	7	60
სტეარინის სანთელი ფ.	11	65
ხორცი ძროხისა .ლიტრა	—	—
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	—
სპირტი ვედრო . . .	4	50
შაქარი ბროკ. ფუთ .	7	25
—ფხვნილი ფუთი .	5	70
ყავა რიგვალი ფრ. .	—	65
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	14	—
თამბაქო საშუალო ფუ.	6	70

თ ფ ი ლ ი ს ი ს ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო.

ერევნ. მ.ი.დ., წინამძღვაროვ. ხახლი. ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ბურავლევი—ვენერიულის, და კანისა; ბაბოვი—გულისა და შინაგ.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი—შინაგ, ასტეა-ცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყ. და ბურავლევი—კანის და ვენერიულის.

პ ა რ ა რ ა ს კ ე ვ ს იქნებიან: ლისიცევი, შინაგ.; ასტეა-ცატუროვი—ვენერ. და კანის; ბაბაევი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი, შინაგ.; ბურავლევი.—ვენერ. და კანის; რეიხი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Октября 1879 г. Типографія Меликова. ბამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.